ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთ „ტრიბუნა“ ღირს
თვეში 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
redakcia da kantori: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან. ნონპარელ.
4 „ 100,000
სამგლოვიარო განცხადებისა
1 გვ. [illegible]
4 „ [illegible]

№ 456 შაბათი, აპრილის 28 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

ერმათ დამწუხრებული სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ სამმართველოს თანამშრომლის

გარგარე (ვავა) ალექსანდრეს ასულის ვაწნაძის

უდროოთ გარდაცვალებას.

გამოსვენება 28 აპრილს საღამოს 5 საათზე ქვაშვეთის ეკლესიიდან ვერის (ნიკოლოზის) სასაფლაოზე.

№ 414—1—1

ორშაბათს, 30 აპრილს, საღამოს 5 საათზე.

სახალხო სახლის დარბაზში შესდგება

ტფილისის საგჭოს კლუბუმის სხდომა:

დღის წესრიგი:

1) საადგილ-მამულო განყოფილების მოხსენება განყოფილების მოქმედების შესახებ.
2) პრეზიდიუმის მოხსენება აღმასკომის მოქმედების და მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ.
3) 1923 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის დამტკიცება.
4) „კომზაგესის“ მოხსენება მუშაობის მსვლელობის შესახებ.
5) მიმდინარე კითხვები.

საბჭოს წევრებს ვსთხოვთ თავის დროზე გამოცხადდნენ სხდომაზე.

პრეზიდიუმი:

№ 326—2—1

მაისის პირველიდან

„ტრიბუნა“

ღირება:

თვეში . . . . . 400.000 მან.
ცალკე ნომერი 20.000 „

პირველი მაისისათვის.

1 მაისი მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეა. 1 მაისი სოციალიზმის დღესასწაულია.

არასოდეს ისე საჭირო არ ყოფილა მთელი ქვეყნის მშრომელთა სოლიდარობა, მათი მთლიანი ფრონტი, როგორც დღეს, როცა იმპერიალისტური კაპიტალიზმი შემოტევას აწარმოებს და ცდილობს შექმნას მუშათა მოძრაობის და მისი მთავარი სიმაგრის საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, მთლიანი შავი ფრონტი. ფაშიზმის განვითარება, რურის ოლქის ოკუპაცია და პოლონეთის არმიის მობილიზაციის სახით ომით დამუქრება, ყოველივე ეს ცხად ყოფს შეგნებული მუშისა და გლეხისათვის, რომ საჭიროა გაერთიანება და გაძლიერება. საერთაშორისო იმპერიალიზმს ვერ დასძლევს ცალ-ცალკე ვერც ერთი სახელმწიფოს მშრომელთა კლასი. მისი დამარცხება და განადგურება შესაძლებელია მხოლოდ მთელი ქვეყნის მშრომელთა შეერთებული ძალით. ყველა ქვეყნის მუშებმა და გლეხებმა კარგად უნდა გაითვალისწინონ ეს შავი ფრონტის გასარღვევად შექმნან წითელი რევოლიუციონური ფრონტი. ეს კატეგორიული მოთხოვნილებაა მომენტის მიერ ნაკარნახევი და უსათუოდ უნდა შეასრულოს მუშათა კლასმა, რაც გინდ ხელის შემშლელი პირობები არ უნდა შეუქმნან მას.

მაგრამ როდის იქნება ეს, როდის გაერთიანდება მთელი ქვეყნის მშრომელთა რევოლიუციონური ფრონტი? ამას დრო უნდა, მით უფრო რომ შემთანხმებლები ხელს უშლიან მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნას. ამით ჩვენი მტრები სარგებლობენ და ყოველ წუთში მზათ არიან დრო იხელთონ, ცოტაოდენი სისუსტე შეგვნიშნონ და თავს თაგვესხან. პოლონეთის არმია უკვე მზადა ჰყავთ ყოველ შემთხვევისათვის. ჯერ-ჯერობით მთავარი იერიშები კაპიტალის შემოტევისა უნდა აიტანოს საბჭოთა რესპუბლიკებმა, ვინაიდან საბჭოთა რესპუბლიკების განადგურება მთავარი მიზანია საერთაშორისო კაპიტალთა და მათი მთავარი ყურადღებაც სწორედ აქეთაა მოქცეული. საბჭოთა რესპუბლიკების პროლეტარიატი კი მარტო ვერ გაუძლებს ვერც მათ იერიშებს და ვერც ალყას. ამას უსათუოდ ესაჭიროება მოკავშირე, მასთან ჭირში და ლხინში განუყრელი თანამებრძოლი. ასეთია მშრომელი გლეხობა, რომელიც იმავე მშრომელთა კლასს ეკუთვნის და მასთან ერთად იჩაგრება კაპიტალის ბატონობისაგან. როგორც ეკონომიური, ისე უფლებრივი მდგომარეობა ღარიბი გლეხობისა მჭიდროდ აკავშირებს მას ქალაქის მუშებთან. მარქსისტების დიდი შეცდომა, რომელსაც ჩვენ მუდამ ვებრძოდით, იმაშია, რომ ისინი გლეხებს ბურჟუაზიულ კლასს აკუთვნებენ და მუდამ იქვეებით უყურებენ: მიწას რომ მიიღებს დაკმაყოფილდება ამით და სოციალიზმისათვის აღარ იბრძოლებსო.

მაგრამ რუსეთის რევოლიუციამ წინაალმდეგი დაამტკიცა. მშრომელი გლეხკაცობა გვერდში უდგას ქალაქის მუშებს და წითელი არმიის სახით თავდადებულად იცავს საბჭოთა სისტემას. ნუ თუ ამის შემდეგ ვინმე კიდევ გაბედავს და იტყვის, რომ გლეხი ბუნებრივი რეაქციონერიაო?..

პროლეტარიატი სოციალიზმის ავანგარდია, მშრომელი გლეხობა კი ის ქვეითა ჯარი, ურომლისოთ არც ერთი ომი არ მოიგება. ბოლშევიკები უკვე დარწმუნდნენ ამაში. და ეხლა ცდილობენ, ყოველ ღონეს ხმარობენ მუშებიც და გლეხებიც დაარწმუნონ მათ განუყრელ მტკიცე კავშირის საჭიროებაში. ვფიქრობთ, რომ ამისათვის ბევრი ჩიჩინი არ დასჭირდება ჩვენ მუშებსა და გლეხებს: ისინი მუდამ ერთად იბრძოდნენ, იცნობენ ერთმანეთს და ენდობიან კიდეც.

დღევანდელი პირველი მაისი უნდა გახდეს ქალაქის და სოფლის მუშათა ერთობის დღესასწაულიც. დღეიდან ერთხელ და სამუდამოდ უკუგდებულ უნდა იქნეს უსაფუძვლო იქვეები გლეხობისადმი და ის ძველი სოციალ-დემოკრატიული ცრუმორწმუნეობა, ვითომც გლეხი ბურჟუა იყოს და მუშას კაპიტალისტზედ გასცვლიდეს, ვითომც მშრომელ გლეხს არ შეეძლოს სოციალიზმის შეგნება.

მშრომელ გლეხობის და პროლეტარიატის მჭიდრო კავშირი დღესვე უნდა განმტკიცდეს, რომ გაუძლოთ საერთაშორისო კაპიტალის ალყას, სანამ მივაღწევდეთ მშრომელთა საერთაშორისო ფრონტს.

რუსეთ-ლეტვეთის ...

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა.

(ბიულეტენი № 22).

მოსკოვი. 24 აპრილი. ტემპერატურა 37,4. პულსი—110. სუნთქვა 24. მარცხენა ფილტვის ქვემო ნაწილში თავი იჩინა მცირე კატარალურმა მოვლენებმა, რაც აიხსნება წინა დღეებში ტემპერატურის აწევით. საერთო მდგომარეობა უცვლელია.

1923 წ. 24 აპრილი, ნაშუადღ. 2 საათი.

პროფესორები: **მინკოვსკი, ფიორსტერი, კრამერი, ბუმკე.**

პრივატ-დოცენტი; **კოუევნიკოვი.**

ჯანმრთელობის სახ. კომისარი: **სემაშკო.**

1 მაისი მუშა გლეხების კავშირის დღესასწაულია

რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში ემზადებიან 1-ლ მაისის დღესასწაულის ჩატარებისთვის მუშა-გლეხების კავშირის ლოზუნგით. წარმოებები და წითელ არმიის ნაწილები მიიღებენ შეფობას სოფლებზე.

შეფეები ამლევენ სოფლებს დროშებს, უხსნიან სამკითხველოებს და უგზავნიან წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს.

სრულიად რუსეთის სასოფლო-მეურნეობის კავშირის სესია.

მოსკოვი 23 აპრილს. მოსკოვში გაიხსნა სრულიად რუსეთის სასოფლო-მეურნეობის საბჭოს სესია. **ყრილობაზე აღინიშნა, რომ სასოფლო მეურნეობის კავშირში შედის 26000 კოოპერატივი, რომლებიც აკავშირებენ 2 ნახ. მილ. გლეხის ოჯახს.**

დამოკიდებულება უცხოეთის სახელმწიფოებთან.

რუსეთ-სპარსეთის საფოსტო კონფერენცია.

მოსკოვი 24 აპრილი. 24 აპრილს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ხელი მოაწერა საფოსტო კონვენციას სპარსეთთან.

რუსეთ-დანიის ხელშეკრულების მნიშვნელობა.

მოსკოვი, 24 აპრილი. დანიასთან ხელშეკრულების დადების გამო გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ, ამხ. ლიტვინოვმა „როსტა“-ს კორესპონდენტთან საუბრის დროს სთქვა: „ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა, ვინაიდან ეს მოხდა იმ დროს, როდესაც რუსეთი განიცდის სასტიკ თავდასხმას და როდესაც რუსეთის ყოფილი კრედიტორები, რომელნიც ხელმძღვანელობენ ამ კომპანიას სცდილობენ ახალ ინტერვენციის და რუსეთის ბლოკადის ორგანიზაციას.

ამ მომენტში ხელშეკრულების დადება მაჩვენებელია იმისა, რომ სახელმწიფოებრივ მოღვაწეებს და სამრეწველო წრეებს სჯერათ ამ კომპანიის სერიოზულობა.

დადებულ ხელშეკრულებას აქვს რა თქმა ფენდა დიდი კომერციული მნიშვნელობა რუსეთისა და დანიისათვის. უკვე ახლო მომავალში მოსალოდნელია ახალი მნიშვნელოვან ხელშეკრულებითა დადება, რომელთა დადებას ხელს უშლიდა დანიასთან ოფიციალურ ურთიერთობის უქონლობა. გეოგრაფიულ მდებარეობის და აგრეთვე კარგად მოწყობილ ნავთსადგურის წყალობით, კოპენჰაგენს შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი დასავლეთთან და კერძოთ სკანდინავიასთან ჩვენი ურთიერთობის საქმეში.

დასკვნაში ამხ. ლიტვინოვმა გამოსთქვა რწმენა, რომ ჩქარა დანიას მაგალითს წაბაძავენ ჰოლანდია და შვეიცარია, რომელნიც დღემდის გაურბოდა რუსეთთან ოფიციალურ ურთიერთობის დაჭერას, და აგრეთვე შვეცია, რომლის დამოკიდებულება რუსეთთან გამოურკვეველია. შვეციას არა ჰყავს რუსეთში წარმომადგენლობა და ჩვენი სავაჭრო დელეგაციის მდგომარეობას სტოკჰოლმში არ აქვს ფორმალური ხასიათი.

შეთანხმება სავაჭრო გემების შესახებ.

მოსკოვი, 24 აპრილი. 23 აპრილს ამხ. ლიტვინოვმა ხელი მოაწერა შეთანხმებას გერმანიასთან სავაჭრო გემების შესახებ, რომელნნც მათ ჩაუვარდათ ხელში იმპერიალისტურ ომის დროს. შეთანხმება გულისხმობს იმ გემების გაცვლის პრინციპს, რომელნიც დარჩენ ნავთსადგურებში, საომარ მოქმედებათ დაწყების დროს გემები, რომელნიც დაკავებულ იქნენ ზღვაში სამხედრო მოქმედებათა დროს რჩება იმ ქვეყანას, რომელმაც ეს გემები დააკავა. რაიმე უთანხმოებათა შემთხვევაში მხარეებს შორის შუამავლათ არჩეულია ნანსენი.

რუსეთ-ოსმალეთის მეგობრობა.

ანგორა, 23 აპრილი. ოსმალეთის დიდი ნაციონალური კრების არსებობის 3 წლის თავზე. მუსტაფა-ქემალმა მიიღო უცხოეთის წარმომადგენლები. რ. ს. ფ. ს. რ. რწმუნებულმა ოსმალეთში მიულოცა ქემალ-ფაშას ეს დღე და გამოსთქვა რწმენა, რომ რუსეთ-ოსმალეთის მეგობრობა ურყევი დარჩება.

ნაცრის ოლქის ოკუპაცია

ესენში. ესენის უმუშევრები შეეცადნენ როტენბერგში შესვლას, მაგრამ პოლიციამ გადაუჭრა გზა. მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც მოჰკლეს ერთი უმუშევარი.

უმუშევრების გამოსვლები. ოურის ოლქში უმუშევრების მღელვარება მეტად სერიოზულ ხასიათს იღებს. მათი დამშვიდება თითქმის შეუძლებელი ხდება.

საფრანგეთი. პროფინტერნის აღმასრულებელი ბიუროო იწვევს 25 მაისისთვის მელითონე, სამთო და სატრანსპორტო მუშების თათბირს. თათბირი შესდგება იმავე ხანებში, როდესაც მოწვეული იქნება თათბირი ფაშიზმთან ბრძოლის საკითხის განსახილველათ.

რეგოლიუციონური გზით. საფრანგეთის მელითონეთა პროფკავშირების ეროვნულმა საბჭომ დაადგინა შეუერთდეს მელითონეთა პროფკავშირის წითელ საერთაშორისო გაერთიანებას.

ინგლისში. ინგლისის მეფემ ინგლისის მუშათა პარტიის ხელმძღვანელი მაკდონალდი დანიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრათ.

ახალი ლოზანა

პირველი დაბრკოლება. თათბირის მონაწილენი ძალიან სცდილობენ როგორმე მოხსნან თათბირის დღიურ წესრიგიდან საკითხი ჩესტერის კონცესიების შესახებ, მაგრამ უკვე აშკარაა, რომ ლოზანის თათბირზე ვერ განიხილავენ ვერც ერთ საკითხს, ვიდრე არ გადასწყდება სწორედ ჩესტერის კონცესიების საკითხი.

„დეილი ტელეგრაფი“ აღნიშნავს, რომ ჩესტერის კონცესიით იწყება ამერიკის კაპიტალის ხანა. ახლო აღმოსავლეთში ამერიკას განზრახული აქვს ეკონომიურად დაიმორჩილოს ოსმალეთი, ბულგარეთი და აგრეთვე სპარსეთიც.

ზოგიერთი დაბრკოლება. ლოზანის ახლ თათბირის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს საფრანგეთისა და ოსმალეთის შორის ჩამოვარდნილი ბუღლი, მათ შორის, ალბათ, დიდი დავა და კამათი ასტყდება ჩესტერის კონცესიების გარშემო. ოსმალეთის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ კონცესიების საკითხი სრულებით არ შეეხება თათბირს და ვერც შეეა მის მუშაობის გეგმაშიო. საერთო აზრით, მოლაპარაკება დიდხანს გასტანს, თათბირში მონაწილე წრეებს აინტერესებთ რუსეთის აზრი.

ეკონომიური კომისიის მუშაობა

25 აპრილს შესდგა ეკონომიური კომისიის სხდომა მონტანიას თავმჯდომარეობით. ოსმალეთის წარმომადგენლები თავგამოდებით იცავდენ თავის წინადადების ყველა წვრილმანებს. ბევრი საკითხი გადაეცა შესამუშავებლად მცოდნე პირთა კომისიას. სხდომის დასასრულს მონტანიანმა გამოსთქვა მწუხარება იმის გამო, რომ კომისიამ დღემდის ვერაფერი გააკეთა.

კუნძულების საკითხი

პოლიტიკურ კომისიამ განიხილა ოსმალეთის წინადადება კუნძულ კასტელო-რიოსი და ადავალასი ოსმალეთისათვის გადაცემის შესახებ. კომისიამ დაადგინა, რომ ეს მოთხოვნილება ეწინააღმდეგება მოკავშირეთა გადაწყვეტილებას.

ზაფრაკიის საზღვრების საკითხი

დიდი ინტერესი გამოიწვია ფრაკიის საზღვრების განხილვამ პოლიტიკურ კომისიაში ოსმალეთის წარმომადგენლები მოითხოვდენ საფრანგეთისა და ოსმალეთს შორის დადებულ ხელშეკრულების საერთო სამშვიდობო ხელშეკრულებაში შეტანას. იტალია და სხვა სახელმწიფოები ამის წინააღმდეგი იყვნენ, ვინაიდან, მათი აზრით, შეუძლებელია ისეთ კერძო ხელშეკრულების შეტანა, რომელშიც არ მიუღია მონაწილეობა სხვა სახელმწიფოებს.

სრუტეების საკითხი

ეკონომიურ კომისიაში სრუტეების საკითხის გარჩევის დროს, ისმეტ-ფაშამ იმედი გამოსთქვა, რომ სამშვიდობო ხელშეკრულების დადების დროს თათბირი მოიწვევს შავ ზღვასთან მდებარე საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლებს.

იმედების გაცრუება

ოსმალეთის გაზეთს „ეგუიდს“ არ აქვს იმედი რომ ლოზანის თათბირი რაიმე ნაყოფს გამოიღებს, რადგანაც საფრანგეთი ჩესტერის კონცესიის წინააღმდეგია.

...

ქალაქის აღმასკომში.

ქუჩების სახელების შეცვლა. ქალაქის აღმასკომის განყოფილების კოლეგიამ დაადგინა წინადადება მ.სცეს საალმშენებლო განყოფილებას დაამზადოს წარწერები იმ ქუჩებისათვის, რომელთაც ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით შეეცვალათ სახელები. აგრეთვე დადგენილია გაფრთხილებულ იქნას სახლის პატრონები, რათა თავიანთ სახლების ფარნებზე გააკეთონ წარწერები ქუჩის ახალი სახელების თანახმათ.

მუშათა სახლების ასაშენებლათ. კომ. განყ. კოლეგიამ მუშათა სახლების ამშენებელ ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის ამხანაგობას დაუთმო აგური ქალაქის უბნებში დამწვარ ზოგიერთ სახლებიდან.

განათლების კომისარიატში.

საავტორო ჰონორარი. განათლების კომისარიატის მიერ დამტკიცებულ იქნა საავტორო ჰონორარის ტარიფი დრამატიულ და მუსიკალურ ნაწარმოებზე. ტარიფის მიხედვით ავტორს ეძლევა

წმინდა შემოსავლის 1 პროცენტი დრამატიულ ნაწარმოებზე—ხოლო მუსიკალურზე—1 ნახევ. პროც. თითო მოქმედებაზე, თარგმანში—დრამატიული ნაწარმოები—ნახევ. პროც., საოპერო—1 პროც. უფასო წარმოდგენები საავტორო ჰონორარისაგან განთავისუფლებულია

— **შენიშნულება.** ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ 2 ტომარა ფხვნილი შაქარი გადასცა განათლების კომისარიატის საბავშო ბაღებისათვის.

რევტრიბუნალში.

— **სესიის გამგზავრება.** მაისის 5 ქ დუშეთში გაემგზავრება აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალის სესია სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედთა საქმეების გასარჩევად. სესია დუშეთში დარჩება 15 მაისამდე.

— **სახედრო რევტრიბუნალის სესიის დაბრუნება.** სამხედრო რევტრიბუნალის სესია რომელიც გამგზავრებული იყო დასავლეთ საქართველოში საქმეების გასარჩევად უკვე დაბრუნდა ტფილისს. სესიამ მოიარა ქალაქები: ბათომი და ქუთაისი,

შრომის ბირჟაში.

— **უმუშევარნი** 26 აპრილს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 537 უმუშევარი. ამავე დღეს ჩაეწერა—119 უმუშევარი, გაიგზავნა სამუშაოზე—65.

შრომის კომისარიატში

— **სასადილო უმუშევართათვის.** ტფილისში იხსნება უფასო სასადილო იმ უმუშევართათვის, რომელნიც სარგებლობენ კომშუნალურ შეღავათებით მხოლოდ არ მოყვნენ დამზღვევთა რიცხვში. სასადილო განზრახულია 500 კაცისთვის. მათ მიეცემათ ყოველ დილა საღამოს ჩაი შაქრით, სადილი და 1 გირვანქა პური ყოველდღიურათ.

— **მუშების ექსკურსია.** კვირას 29 აპრილს პროფკავშირთან არსებულ კულტ-განყოფილების ინიციატივით ეწყობა მუშების ექსკურსია შემდეგი მარშრუტით: ლისიე ოზერო, სოფ. დიღომი, სამხედრო-საქართველოს გზა და თეთრი დუქანი.

— **პირველ მაისის საჩუქარი.** კომშუნალურ მეურნეობის პროფკავშირმა დაადგინა პირველ მაისს დაურიგდეთ კავშირის უმუშევართა ყველა წევრებს დახმარება ფულით.

— **საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველი.** გამოვიდა პროფესორ გურვიჩის შრომა „საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველი“ გამოცემა საქართველოს კომუნისტურ პარტიისა.

საგარეო ვაჭრობის კომისარიატში.

— **ვაჭრობა სპარსეთან** ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია სდებს სპარსეთთან სავაჭრო ხელშეკრულებას, რომლის ძალით არსდება საერთიერთო საამხანაგო სავაჭროები.

— **სპარსეთის ბანკი.** ტფილისში არსდება სპარსეთის ბანკის განყოფილება.

პედაგოგ აფ. ჯაფარიძის იუბილე

ტფილისის მასწავლებლობა წინასწარვე ემზადებოდა ჯაფარიძის 50 წლის იუბილესათვის. აპრილის 24 საღამოს 8 საათიდან დიდძალი საზოგადოება იკრიბება ოუსთავლის თეატრში, ყველას სურს პატივი სცეს დამსახურებულ მასწავლებელს.

პირველად წარმოდგენილ იქმნა ოპერეტკა „მასკოტი“-დან პირველი აქტი კოტე მარჯანიშვილის დადგმა.

წარმოდგენის შემდეგ იწყება საკონცერტო განყოფილება მონაწილეობენ: შარაშიძე, ინაშვილი, სარაჯიშვილი, დანიელიანი. სახალხო მომღერალი თარხნიშვილი ასრულებს ურმულს.

საღამოს მესამე განყოფილებას შეადგენს საზეიმო სხდომა.

სხდომის წინ გ. ჟუმბურიძე კითხულობს მოხსენებას იუბილიარის მოღვაწეობის შესახებ.

სცენაზე არიან ფოცხვერაშვილის და თარხნიშვილების მომღერალთა გუნდები. მარჯვნივ სხედან მიმლოცველნი სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან და დაწესებულებიდან. მარცხნივ მომზადებულია საგანგებოდ მორთული სკამი იუბილარისათვის.

საიუბილეო კომიტეტის სახელით ლ. რუხაძე ხსნის საზეიმო სხდომას, იწყება მილოცვები.

ესალმებიან: სახალხო განათლების კომისარიატის დავალებით გ. ჟუმბურიძე, ტფილისის სახალხო განათლების განყოფილების და აღმასკომის სახელით ლ. რუხაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით ვ. რუხაძე, განათლების მუშაკთა კავშირის სახელით პ. კვირკელია ტფილისის მასწავლებლობის დავალებით ფირცხალაიშვილი, ქართული წიგნის საგამომცემლო — გამავრცელებელ საზოგადოების მინდობილობით ბურჯანაძე, მეაბრ. სკოლის (როგორც იუბილიარის თანამშრომლების) სახელით ი. სიხარულიძე, უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტთა სახელით გ. თავზარაშვილი, რუს მასწავლებელთა სახელით ესენი, აფხაზ მასწავლებელთა დავალებით, საინტერესოა მისალმებანი მოწაფეების, პოეტ იოსებ მჭედლიშვილისა ლექსით და სხვა მრავალ დაწესებულებათა და კერძო პირთა.

იუბილარმა მიიღო მრავალი საჩუქრები. მომღერალთა გუნდებმა შეასრულეს მრავალი შესაფერისი სიმღერები.

უკანასკნელათ იუბილარმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას ასეთი თბილი შეხვედრისათვის.

მართლაც იშვიათად შეხვდება კაცი ასეთ გულწრფელ პატივისცემას, რაც ამ დღეს ახასიათებდა, მადლობის ღირსია საინიციატივო ჯგუფი საიუბილეო კომიტეტი, რომელმაც ასე ჩინებულად მოაწყო ეს საღამო, კიდევ ბევრი დაუფასებელი მასწავლებელი უცდის ღირსეულ დაფასებას. მათი დავიწყება არ შეიძლება. ნეტავ რა ზომებს ღებულობს ჩვენი კავშირი?.

დამსწრე

მხატვარი ლექსო პისტახია

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამხ. ლექსო, რომელსაც დღეს ვაბარებთ მიწას. ვისაც თვალ-ყური უდევნებია კავკავის ქართველების ცხოვრებას ნიკოლოზის დროს და ერთი წელიც უცხოვრია ქ. კავკავში, იმისთვის დაუფასებელია და აღსანიშნავია ამხ. ლექსოს პიროვნება. ის იყო ის ქართველი, რომელიც ერთი საუკეთესო და გულშემატკივარი ადამიანი იყო კავკავის ქართველი საზოგადოებაში. რომელი ქართველს არ უნახავს მისი საუცხოოთ შესრულებული სურათები არ დამტკბარა მისი მხატვრობის ნიჭით, აუწერელია მისი დაკარგვა, იშვიათი პატიოსანი, ნიჭიერი ადამიანის დანაკლისი.

განისვენე ძვირფასო და ღირსეულო ადამიანო, შენი სპეტაკი პიროვნების ხსოვნა საუკუნოთ იქნება შენი ნაცნობ-მეგობრების გულში.

ვ. ოდიშარია.

თბილისი 27 აპრ.
1923 წ.

ვავა ვაჩნაძე

(ქართული სტუდიის მსმენელი).

ეს სახელი და გვარი, სხვა დანარჩენ სტუდიელთა პორტრეტებს შორის, ჩემი ცალკე განმარტების საგანს შეადგენდა მომავლისათვის. სამწუხაროთ, დღეს, ჩვენს რიგებს, ეს უთუოდ ძვირი ფასის სახელი—უდროოთ გამოაკლდა.

ბედმა სხვა რიგათ განსაჯა და საიმედო სხივათ მოვარდნილი სახე, კუბოთი განსაზღვრა ჩვენგან.

ღრმად მწამდა, რომ მისი სახე უბრალო სხივათ არ ჩაუარდა ჩვენს მომავალ სცენას.

ამის თავდები იყო მისი უცილობელი ნიჭი.

ჩვენს შორის, ის დადიოდა, ამაყათ მომართულ ლამაზი თავით, რომელსაც თითქოს ძვირფასი დიადემა ამძიმებდა. მუდამ გაფითრებული იყო, როგორც მთვარისაგან დაბნეული ჰეროდეას პაჟი და სიტყვა მოკვეთილი, როგორც ამპარტავანი პრინცესსა.

ქალს, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიაც კი თეატრს ახსენებდა, უსათუოდ იგივე სცენა შეერთავდა.

თუ დაიწერება ჩვენი სტუდიის ისტორია—პორტრეტებში, ვავა ვაჩნაძის სახელი მის ფურცლებზე იქნება, როგორც უდროოთ ჯვარ დასმული ხატი მედალიონში, რომელმაც ჩვენი მეგობრობა და იმედი სამარისაკენ წაიღო.

შ. ხოხლანი.

ბაკურიანი სხივრება

ქუთაისის სამთო-მადნო მუშები.

23 აპრილს ჰიათურის თეატრის დარბაზში შესდგა სამთო-მადნო კავშირის წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. ლენის ამბები.
2. რურის ოლქის ამბები.
3. სამთო-მადნო კავშირის 3 წლის თავის აღნიშვნა.
4. საინსტრუქციო მოხსენება.
5. არჩევნები საქართველოს პროფ-კავშირების ყრილობაზე.
6. არჩევნები ამ.-კავ. პროფ-კავშირების ყრილობაზე.

1-ლი საკითხის შესახებ წაკითხულ იქნა მოხსენება, რომელშიაც მომხსენებელმა აღნიშნა ლენის მუშების ბრძოლა თვითმპყრობელობის წინაშე. მოხსენების შემდეგ კრებამ გამოიტანა შესაფერი დადგენილება.

მეორე საკითხის შესახებ ვრცელი მოხსენების წაკითხვის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი დადგენილება: „მოვისმინეთ რა მოხსენება რურის ამბების შესახებ, ჩვენ ჰიათურის მაღაროს მუშები ნათლად ვითვალისწინებთ ბურჟუაზიის ვერაგულ მოქმედებას და წარმოდგენილი გვაქვს, თუ როგორ გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან ისინი, ვადგენთ: გადავდვათ ერთი დღის ხელფასი რურის მუშების სასარგებლოდ.

გულწრფელი მუშათა სალამი დასავლეთის მუშებს!

გაუმარჯოს წითელ პროფკავშირებს!

მესამე საკითხის შესახებ მოხსენება წაიკითხა ამხ. ხვედელიძემ რომელმაც აღნიშნა სამთო-მადნო კავშირის ღვაწლი რევოლიუციის წინაშე. შემდეგ ილაპარაკეს მაღაროს ძველმა მუშებმა და მოიგონეს ჰიათურის მუშების რევოლიუციონური მოძრაობა 1905—1907 წ. მოხსენებების და მოგონებების დამთავრების შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა: გაეგზავნოს ძველ რევოლიუციონერს ამხ. ჯულაშვილს, რომელმაც პირველად შეიტანა რევოლიუციონური შეგნება ჰიათურის მუშებში მისალმების დეპეშა.

საინსტრუქციო მოხსენებაში ამხ. ხვედელიძემ აღნიშნა მუშათა ხელფასის მდგომარეობა საქართველოში. აგრედვე საკონფლიქტო—შემფასებელ კომისიების დანიშნულება წარმოებებში. კოლექტიური ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარების საქმეში.

მრავალ შეკითხვებზე, ამხ. ... დეგ შემდეგ შემოვიდა წინადადება ... კავშირების ხელმძღვანელთ ყურადღება მიაქცინ ჰიათურის მუშებს სხვა და სხვა საჭირო საქმენლ მიწოდების საკითხში.

დასასრულ მოხდა არჩევნები, საქართველოს პროფკავშირების ყრილობაზე წარმომადგენლებათ არჩეულია შემოეგი ამხანაგები: კოჩინი, სულაგ ხვედელიძე და ს. ჭეიშვილი.

ამიერ-კავკასიის პროფკავშირების ყრილობაზე გასაგზავნათ არჩეულია ამხ. ხვედელიძე. (მუშა)

კ.—ავა.

პარტიაში

ავლაბარი. ხუთშაბათს, აპრილის 26 დანიშნული იყო მე-4 რაიონის პარტიულ წევრთა საზოგადო კრება. დამსწრეთა სიცოტავის გამო კრება არ იქნა ცნობილი კანონიერად. ტფილისის კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. ვ. პაატაშვილმა მოკლედ აღნიშნა თუ რადი ძლიერი ორგანიზაცია იყო წინეთ ავლაბრის რაიონში და მწუხარება გამოსთქვა, რომ ეხლა ასე სუსტი ორგანიზაცია გვაქვს, რაც უნდა მიეწეროს არსებული რაიკომის უმოქმედობას. შემდეგ მოუწოდა ამხანაგებს გააცხოველოს პარტიული მუშაობა.

— შაბათს, 28 აპრილს ნაშუადღევის 3 საათზე ა. კ. ფინანსთა კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში მომუშავეთა ადგილკომის ოთახში შესდგება ამავე დაწესებულებებში მომუშავე საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიის წევრთა საერთო კრება. ამხანაგები მოვალენი არიან გამოცხადდენ აღნიშნულ დროზე.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ამხანაგებმა დაადგინეს: მოწვეულ იქნეს უფრო სრული კრება ახალი რაიკომის ასარჩევად. დაევალოს ამხ. პაატაშვილს, მჭედლიშვილს და სეფერთელაძეს პარტიული მუშაობის წარმოება. პასუხისმგებელ კორესპონდენტად აირჩიეს ამხ. ალ. ჩაჩხიანი.

— კვირას, აპრილის 29-ს, დილის 12 საათზე დანიშნულია „ტრიბუნის“ რედაქციაში მთავარ კომიტეტის სხდომა. წევრები უნდა გამოცხადდეს სწორედ დანიშნულ დროზედ.

— კვირას, 29 აპრილს, 12 საათზე ცენტრალურ პარტიის ბიუროში დანიშნულია მეოთხე რაიკომის სასწრაფო სხდომა. ამხანაგები მოვალენი არიან გამოცხადდენ აღნიშნულ დროზე.

მდივნის მაგიერ **გრიგოლ ლასკარი**

— შაბათს 28 აპრილს საღამოს 6 საათზე დანიშნულია მესამე რაიკომის (ავლაბრის) კომიტეტის სხდომა. ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

მდივანი **სეფერთელაძე.**

ეკონომიური სხივრება

ფოთის ნავთსადგურის მუშაობა
(1923 წ. იანვარ—მარტის განმავლობაში).

მიმდინარე წლის პირველი მეოთხედის განმავლობაში, საქართველოს ცენტრალური სტატ-სამმართველოს ცნობების მიხედვით, ფოთის ნავთსადგურში შემოტანილი ყოფილა კაბოტაჟით (საქართველოს და რუსეთის ნავთსადგურებიდან) 327—893 ფუთი საქონელი, ხოლო ამავე დროს გატანილია ფოთიდან 25.701 ფუთი ამნაირად, შემოტანილი საქონელი 302—192 ფუთით აღემატება გატანილ საქონელს.

აღნიშნული რაოდენობიდან შემოტანილია—იანვარში 241.997 ფუთი, თებერვალში—70.206 ფ. და მარტში—ფუთი. ხოლო გატენილია—იანვარში—14.668 ფ., თებერვალში—3.302 ფ. და მარტშიც—6.731 ფ.

შედარებით წინა დროის კაბოტაჟურ—შემოტანა-გატანასთან, აღნიშნული რაოდენობა შემდეგ მიმართებას გვიჩვენებს:

	ფუთობით შემოტანილა	გატანილა
1922 წ. იანვარ-მარტი	12.348	28.645
აპრილ-ივნისი	53.178	245.612
ივლის-სექტემბერი	96.421	10.170
ოქტომბ.-დეკემბ.	600.697	31.321
1923 წ. იანვარ-მარტი	327.893	25.701

შემოტანა, წარსული წლის განმავლობაში გამუდმებული მატულობდა, ხოლო მიმდინარე წლის განმავლობაში შემცირებულა 1922 უკანასკნელ ოთხედთან შედარებით, მაგრამ სჭარბობს წინა რიოდებს. რაც შეეხება გატანას, მას გარკვეულ მიმართება არ ახასიათებს უკანასკნელი პერიოდ გატანა, მხოლოდ წარსული წლის მესამე მეოთხ აღემატება, დანარჩენებთან შედარებით კი მ რეა.

1923 წლის პირველ მეოთხედის განმავლ ში ფოთის ნავთსადგურში შემოტანილ-გატანილი საქონელი შემდეგნაირათ ნაწილდება საქონ მთავარი ჯგუფების მიხედვით.

	ფუთობით შემოტანა	გატ
1. საარსებო საგნები	312.944	22.
2. ნედლი და ნახევრად დამუშავ. საქ.	13.298	2.
3. ნაწარმოები	1.284	
4. დაუსახელებელი საგნები	367	
სულ—	327.893	25.701

როგორც გატანაში, აგრეთვე შემოტანაში დამწყვეტ როლს თამაშობს საარსებო საგნების შემოტანა-გატანა, დანარჩენი საგნების მონაწილეობა უმნიშვნელოა.

აღნიშნული საქონლის რაოდენობა შემდეგ ნაირათ ნაწილდება გამტან და შემომტან კუთხეების მიხედვით.

№ № რიგზე	საქონლის ჯგუფები	შემოტანა: საქართველოს ნავთ-დან.	შემოტანა: რუსეთის ნავთ-დან.	გატანა: საქართველოს ნავთ-დან.	გატანა: რუსეთის ნავთ-დან.
1	საარსებო საგნები	3.619	309.325	10.134	12.657
2	ნედლი და ნახევრად დამ. საქ.	13.013	285	2.083	440
3	ნაწარმოები	199	1.085	337	50
4	დაუსახელებელი	282	95	—	—
	სულ	17.113	310.780	12.554	13.147

გატანილ საქონლის ნახევარზე მეტი გატანილა რუსეთის ნავთსადგურებში, ხოლო შემოტანილი საქონლის უდიდესი ნაწილი შემოტანილია რუსეთის ნავთსადგურებიდან.

საქართველოს ნავთსადგურებში გატანილა ზედმეტათ ნაწარმოები და საარსებო საგნები. რუსეთის ნავთსადგურებში კი ნედლი და ნახევრად დამუშავებული საქონელი.

გატანის უმთავრესი საგნებია: მარილი 8000 ფ., თხილი 6755 ფ., დაფნის ფოთოლი 2547 ფ., ბრინჯი 1490 ფ. და ხილი 2066 ფ.; შემოტანილა კი უმთავრესად: ფქვილი 189.554 ფ., ხორბალი 92.000 ფ., მარილი 28.355 ფ., ხე-ტყე 6000 ფ. და თხილი 2.053 ფუთი.

სტატისტიკოსი.

ვაჭრობა რუსეთთან—ცეკავშირმა გაგზავნა რუსეთში პირველი მატარებელი სხვა და სხვა საქონლით და სურსათ-სანოვაგით: 14 ვაგონი ბოჯომის წყალი, 4 ვაგონი ღვინითა, 2 ვაგონი თხილი, 3 ვაგონი დაფნის ფოთოლი, 1 ვაგონი შეკარული ყველი და სხ.

— **შაქარი ამიერ-კავკასიისათვის** ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ბანკის სახელზე ტფილისში მოვიდა თებერვლის შაქრის ნორმა: 25 ვაგონი ფხვნილი და 11 ვაგონი ნატეხი შაქარი.

— **აბრეშუმის პარკი.** სახალხო სასურსათო კომისარიატმა გადასცა შეგროვება და რეალიზაცია საბრეშუმო პარკისა ცეკავშირს.

ჩვენი სკოლა

მოწაფეთა შესახებ

„ტრიბუნის“ კვირის ნომერში მოქ. ირ—დი მოწაფეებისათვის ფორმის შემოღების საჭიროებას აღირსებს და იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ფორმა ხელს შეუწყობს მოწაფეთა შორის დაცემულ წესიერების აღდგენასო.

რედაქციასაც საჭიროთ მიაჩნია მოწაფეთა შორის წესრიგის შესახებ ჩაღიძრას საკითხი. ვფიქრობ, დაეთ მოსწავლე-ახალგაზდობის ჩამოქვეითობას, როგორც გონებრივათ, აგრეთვე ყოფაქცევითაც, რაც მეტათ დამაფიქრებელი უნდა იყოს, როგორც საზოგადოებისათვის, აგრეთვე განათლების უწყებ

სათვისაც. მაგრამ ისეთი საშვალება, რომელზედაც ირ-დი მიგვითითებს მდგომარეობას ვერ გააუმჯობესებს. ამ მოვლენას საფუძვლად უფრო ღრმა მიზეზები უძევს და მის აღმოსაფხვრელათაც უფრო სერიოზული საშვალებები და მეტი დრო იქნება საჭირო.

ყველას მოეხსენება, რომ დისციპლინას საფუძვლათ ორი მხარე უდევს ან გარეგანი—შიში, დასჯის მოლოდინი, ან შინაგანი—შეგნებითა და პატივისცემით გამოწვეული. ძველი სკოლის წესრიგი პირველი ხასიათის საფუძველზე იყო აგებული; მართალია, ფორმაში გამოწყობილ ახალგაზრდობას შეიძლება ქუჩაში არ მოეხდინა დეგბოში, (თუმცა ამასაც ხშირათ ჰქონდა ადგილი),—მაგრამ იქ სადაც ზედამხედველთა თვალი ვერ მისწვდებოდა, ბევრი რამ უმზგავსო ხდებოდა. რევოლიუციამ სისწრაფით დაამხო ძველი სკოლა, მაგრამ ახალის აგება და ამაღლება არც ისეთი ადვილი შეიქნა, რასაც თავისი მიზეზები აქვს.

გარდამავალი პერიოდი, რასაც ჩვენ ამ უკანასკნელ წლებში განვიცდით, ყოველთვის ხასიათდებოდა საზოგადოების ზნეობრივი ჩამოქვეითებით და დაკნინებით; ძველი ტრადიციები ან შეხედულებანი ისპობა. ახალი მძიმეთ იკიდებს ფეხს და ზანტათ შედის საზოგადოების შემეცნებაში. თუ გარდამავალ პერიოდში ეს ყოველთვის ასე ყოფილა, მით უფრო ძლეირათ უნდა ჰქონდეს მას ეხლა ადგილი, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების არსებითი გარდაქმნა ხდება, ისპობა ძველი საზოგადოებრივი კლასები, თანდათანობით ყალიბდება ახალი, განსაზღვრული ზნეობითა ან შეხედულებებით. ასეთი ატმოსფერა, ცხადია, თვისებურ გავლენას ახდენს ახალგაზრდობაზეც, როგორც საზოგადოების ორგანიულ ნაწილზე.

ომებმა და მისგან გამოწვეულმა ეკონომიურმა კრიზისმაც აუცილებლათ მოწაფეთა ზნეობრივ და გონებრივ ჩამოქვეითებას ხელი შეუწყო; თუ წინეთ ნივთიერათ საკმაოთ უზრუნველყოფილი მშობლები თავის შვილს შესაფერ პირობებში აყენებდენ და მის წარმატებასაც ყურადღებას აქცევდენ, დღეს მშობლებს ნაკლებათ სცალიათ ბავშებისათვის და ბავშებიც ძლიერ ხშირათ უყურადღებოთა და მშიერნი არიან.

ძველი სკოლა, როგორც ვთქვი, შიშსა და საჭმელზე იყო აგებული. ახალ სკოლას საფუძვლათ მოწაფის შინაგანი დისციპლინა უნდა დაედვას. მთელი ჩვენი ყურადღება მოწაფის ხასიათის სიმტკიცისაკენ უნდა იქნეს მიმართული. ნებისყოფის სისუსტე ახასიათებს ქართველ ხალხს ან ახალგაზდობასაც. თვით სასწავლებელში წესრიგის აღდგენა, მოწაფეებისადმი ზომიერი და განუწყვეტელი მოთხოვნილების წამოყენება სისტემატიური მაკადინაობა და თვითმოქმედების, ინიციატივის გაღვიძება მათში ნებისყოფის განმტკიცებას შეუწყობდა ხელს და მოწაფეს სკოლასთან უფრო დააკავშირებდა. დღეს კი მოწაფე სკოლას სასხვათაშორისოთ უყურებს და უყურადღებოდ დარჩენილი უმთავრეს დროს ქუჩაში ატარებს. ძველათ სასწავლებელში გატარებული დრო მოწაფეს ჯოჯოხეთად ეჩვენებოდა, რადგან ძველი საგნები, მასწავლებლების მოპყრობა, სწავლების მეთოდი, სასჯელი და სხვა მას თავზარს სცემდა. ბევრი ამათგანი ახალ სკოლაში უარყოფილია, მაგრამ ბევრი რამ დარჩა და მრავალ სკოლაში თითქმის ყველაფერი ძველის მეთოდით მიმდინარეობს. მოწაფე მაშინ დაუკავშირდება სკოლას ორგანიულათ, თუ რომ მას სკოლაში სიარული ყოველდღიურ სიამოვნებათ გადაექცევა; ამიტომ საჭიროა, რომ სკოლიდან ის ყოველდღიურ გონებრივ საზრდოს გარდა, ესთეტიურ განცდასაც მოელოდეს. გაკვეთილებისა და რეფერატ-მოხსენებების გარდა მას უნდა ესმოდეს ცოცხალი სიტყვა აღმზდელთაგან და განსაკუთრებით კი უნდა მოწყობილ იქმნეს ყოველდღიური მუსიკალურ-ლიტერატურული საათი.

მოსწავლეთა დისციპლინის გაუმჯობესების საქმეში არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მასწავლებელ-მოსწავლეთა შორის დამოკიდებულებასაც. ძველ სკოლაში მათ შორის უფსკრული იყო გათხრილი და უმთავრესათ მტრული განწყობილება არსებობდა. მაგრამ ძველათაც, თუ რომელიმე მასწავლებელი მეგობრულათ მივიდოდა მოწაფეებთან, ამ შემთხვევაში ყველაზე თავაღებული მოწაფეც სანაგალითო ხდებოდა, რაც მაჩვენებელია იმისი, რომ ყველა ახალგაზდაში არის კეთილი და მალალი თვისებები, მხოლოდ საჭიროა მასთან თავისებურათ მისვლა და გამონახვა. ახალ სკოლაშიც მოწაფე-მასწავლებელთა დაახლოებას და მათ შორის მეგობრული ძაფის გაბმას უდიდესი ადგილი უნდა ეჭიროს. ამრიგათ, სკოლის გადახალისება, მოწაფეებისადმი მოთხოვნილების წამოყენება, მათში ნებისყოფის განმტკიცება, სკოლასთან დაკავშირება, აღმზდელებთან დაახლოება, მე მიმიჩნია უახლოეს საშვალებათ მოწაფეების გონებრივ და ზნეობრივ წარმატებისათვის.

ტრ. ხუნდაძე.

მეცნიერება და ტექნიკა

ფარაონ ტუტანკხამანის სამარე. უკანასკნელ წლამდე მეცნიერებს, ეგონათ, რომ ეგვიპტის წარსულის მთელი საიდუმლოება ფოიეის ახლოს აღმოჩენილ ცხრა ფარაონის სამარით განისაზღვრებოდა და გულგრილათ უყურებდენ მაკ. კარტრის და ლორდ ბარონარვონის ექსპედიციებს, რომლებიც მუშაობას აწარმოებდენ ათ წელზე მეტს, „ფარაონების დაბლობში“. მიუხედავათ იმისა, რომ პირველი წლების გათხრანი უმნიშვნელო შედეგებს იძლეოდა, მუშაობა მაინც იქნა გაგრძელებული და მუშაობის მეთორმეტე წელიწადს, 1922 წლის ენკენისთვეში სილაში აღმოაჩინეს უზარმაზარი შენობა. ეს იყო ფარაონ ტუტანკხამენის სამარე, რომელიც მეფობდა 1358-დან 1450 წლამდე. ქრისტეს დაბადებამდე. როგორც ფიქრობენ, მის დროს მოხდა ებრაელების წასვლა ეგვიპტედან. გათხრამ, აღმოაჩინა მეტად კარგად შენახული სამარე, იმდენად მრავალი ნივთებით, რომ ამან ნამდვილი სენსაციია მოახდინა მთელი ქვეყნის მეცნიერთა შორის. ყველანი დაინტერესდენ ამ აღმოჩენით: პრესა ახმაურდა; ინგლისის მეფემ აუდიენციაზე მიიწვია ლორდი ბარნორვანი; კორესპოდენტები და ფოტოგრაფები ასობით გაეშურენ ფიეისაკენ ყოველი კუთხიდან. ლონდონის უმდიდრესმა გაზეთმა „ტიზესმა“ ექსპედიციისაგან შეიძინა უფლება,—პირველად სურათების გადაღებისა, კოლოსალური თანხის გაღებით.

ფარაონ ტუტანკხამენის სამარე თითქმის ხელუხლებლად არის შენახული და გაუძარცველია, თუმცა თვით ეგვიპტელები ხშირათ სცარცავენ მათ. რამოდენიმეთ ძვირფასეულობა წაღებულიც არის, მაგრამ ის, რაც მეცნიერებისათვის ინტერესს წარმოადგენს,—დაცულია. მეტად ძნელი გახდა განძეულობის ამოღება, რადგან სიძველისაგან ისინი იფშვნებოდენ. მიუხედავათ ამისა შესაძლებელი გახდა ჭსოვილების ამოღებაც კი, რომელიც 3000 წლის განმავლობაში ინახებოდა. თვით სამარე ჯერ კიდევ არ არის გახსნილი, მაგრამ წინა ოთახებში აღმოჩენილი განძეულობა შეფასებულია სამ მილიონ გირვანქა სტერლინგად (დაახლოებით 28 მილიონი მანეთი ოქროთი) და ეს გამოანგარიშებულია მხოლოდ როგორც ოქრო და ძვირფასი ქვა, როგორც მასალა, წონით.

ნახული არის ფარაონის ტანთსაცმელი, რომელიც ჩაწყობილი იყო ზანდუკში; ზანდუკი შეკრული არის მხატვრული სურათებით; ყუთი ფაიანისა და და თიხის ჭურჭლებით, რომელთაც ყველგან ლატოსის ნიშნები აქვს, ხან მთავარი სურათის სახით, ხან კლეიმის სახით; ნახულია სკამები, რომლებიც მალალ მხატვრულ ფასეულობას წარმოადგენენ; ნოხები, ჰიპპოპოტამის ფიგურა, რომელიც ოქროდან არის ჩამოსხმული; ფარაონის საწოლი, ციველების ფიგურები და სხვა მრავალი ძვირფასი ნივთი. სამარის შესავალთან სდგას თვით ფარაონის სკულპტურული გამოხატულება, რომელიც შესავალს იცავს. მალე გახსნილ იქნება თვით სამარე.

ტურიტები, მეცნიერები და ცნობის მოყვარენი მრავლათ მიემგზავრებიან ფიმეში. ეგვიპტის მთავრობამ ჯარები გაგზანა სამარის დასაცავად. მეზობელ ადგილებში ისევ ახალ თხრებს აწარმოებენ: გონიათ, კიდევ იპოვნიან მსგავს სამარეებს.

უკანასკნელ ცნობებით ლორდი კარნარვენი, რომელიც ამ თხრებს აწარმოებდა, ფილტვების ანთებით გარდაიცვალა; ანთების პროცესი განსაკუთრებით გაართულა სისხლის მოწამვლამ, რომელიც გამოწვეული იყო შხამიანი მწერის კბენით. ლორდ კარნარვენის გარდაცვალებამ მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ეგვიპტესა და ინგლისში. ეგვიპტელები, რომელთათვისაც ფარაონის სამარის გათხრა ღვთის გმობას წარმოადგენდა, დარწმუნებული არიან მასში, რომ „დიდი ევროპიელის“ სიკვდილი ფარაონის მრისხანების შედეგია. ეს შეხედულება მარტო ეგვიპტეში არ არის გავრცელებული. თვით ლონდონის საზოგადოებას ე. წ. საუკეთესო წრეებშიც ბლომად არის ცრუმორწმუნე ხალხი, რომლებიც სავსებით ეთანხმებიან ლუკსორის მცხოვრებთ, რომლებიც საშინელებით უყურებდენ მას, თუ ევროპიელები როგორ დაუზოგავათ ეპყრობოდენ ეგვიპტელების რელიგიურ გრძნობებს და ფარაონების სამარიდან თხრიდენ მის საუკუნოებრივ საიდუმლოებათ. ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა ქალმა მარია კორელლიმ ერთ ამერიკულ გაზეთში დასწერა, რომ მის ხელში არის იშვიათი ხელთნაწერი—„პიროამიდების ეგვიპტური ისტორია“, საიდანაც სჩანს, რომ ყველა ისინი, რომლებიც ეგვიპტის პირამიდებში შედიოდენ, არაბუნებრივი სიკვდილით იღუპებოდენ. ამ გარემოებას ცნობილი მწერალი იმით ხსნის, რომ ფარაონების სარკოფაგებში სასიკვდილო შხამებია, ერთი შეხებაც კი მათთან საკმაოა, რათა ადამიანი მოკვდეს. შერლოკ ხოლმსის ცნობილმა შემქმნელმა—მონან დოილმა .გამოსთქვა რწმენა იმის შესახებ, რომ ლორდ კორნარვანის სიკვდილი რელიგიოზურ ეგვიპტელების წყევით არის გამოწვეული, რომლითაც ისინი ევროპტელებს მიმართავენ, მათი წმიდათაწმიდის შეურაცხყოფის გამო. ტყუილა კი არის ზოგიერთ მუმიაზე შემდეგი წარწერა: „ვინც დაარღვევს ჩემს საუკუნო მოსვენებას, სიკვდილი შეემთხვევა და ვერ დაიმარხება“.

მეერცხალს

(ძველი რვეულიდან).

უძვირფასეს ამა ქვეყნათ,
ვერას ამჩნევს ჩემი თვალი;
ძღვნათ შენთვის მაქვს, რომ მოგართვა:
ჭია-ღუა, ბუზი, კალი!

ლარიბისგან ეს მიიღე,
არ მომმატო წყლულზე-წყლული;
ვინაიდან სხვა არ ძალ-მიძს
და მითა ვარ დატანჯული.

ნეტავ იმას, ვისთანაც შენ
მიფრინდები, გაახარებ:
იჭიკჭიკებ შენებრივათ
და სევდებსა განუქარებ!

ოხერ ზამთრით დატანჯულსა,
ალარა მდევს კაცის ფერი;
ლოყები მთლათ ჩამომიჭკნა,
გამითეთრდა თმა და წვერი!

ლრუბლებშია მიმალული,
ალარ მოსჩანს მზის სხივები:
ალარ მწყალობს ცის მნათობი
გამეყინა მუხლ-წვივები.

არ მგონია, რომ არ დადგეს
ტურფა, ნაზი გაზაფხული,
რიეარაზე შენც არ მოფრინდე
არ გახარდეს ჩემი გული...

ეალერსე მაშინ ჩემ ქოხს,
დამიმშვენე სახლი, კარი;
შემიბრალე შენი მონა—
გლეხის შვილი გულ-დამწვარი!!

ის მაკმარე, რაც რომ შენთვის
თვალზე ცრემლი გადმოვჭლვარე;
ძველ ჩემს ქოხში ჩემი გული
ვეღარაფრით განვიხარე.

ეკალსავით ზედ მასვია
შენი ტრფობა, სიყვარული;
სულის დგმა ხარ და მოგელი
შენთვის დამწვარ, დადაგული!..

ია—ფაძე.

საუბარი გლეხთან

ლობიო და მისი მნიშვნელობა.

სამარცვლე ცერცვოვან მცენარეთა შორის ყველაზედ უფრო საპატიო ადგილი ლობიოს ეკუთვნის.

იგი მეტად ძვირფასია, როგორც მწვანეთ—ბარკათ სახმარი, აგრეთვე მარცვლათაც.

საქართველოს მიწის ბუშების უმრავლესობა ამ მცენარის მარცვლით იკვებება თითქმის მთელი წლის განმავლობაში.

ლობიო ჩვენს სოფლებში იჭერს ხორცისა და მესაქონლეობის ნაწარმოების ადგილს.

ლობიო თავისი შემადგენლობით ძალიან ნოყიერი საკვებია და ბევრათ სჯობს, როგორც პურს, ისე სიმინდს და სხვა ხორბლეულს.

ლობიოს მარცვლებში ყოველი ასი ნაწილიდან.

ცილოვან ნივთიერებ. მოდის 23,1 ნაწ.
ცხიმოვან „ „ — 2,4 „
ნახშირწყლებ. (სახამებ. და სხ.)53,6 „

როგორც ამ ცხრილიდან ვხედავთ, ეს მცენარე თავისი ნოყიერებით ცილოვანი ნივთიერებების მხრით 2—3 ჯერ სჯობნის ხორბლეულ მცენარეს, ცილოვან ნივთიერებების ასეთი დიდი შემადგენლობა მას შესაძლებლობას აძლევს ხორცისა და ყველის ადგილი დაიჭიროს, თუმცა, რასაკვირველია, მათებური ნოყიერება მაინც ვერ აქვს რადგან ხორცში და ყველაში ცილოვან ნივთიერებებთან ერთად ცხიმოვანი ნივთიერებების შემადგენლობაც დიდია. ეს ორი ნივთიერება კი ყველაზედ უფრო ძვირფასია ადამიანისათვის.

ამ თვისებების გამო ლობიოს ფასს დიდი აქვს და თავისი უხვი მოსავლის გამო მისი მოყვანა-დამუშავება მეტად ხელსაყრელია ჩვენ-ბრეგ-ბრეგ-ბრეგ

ᲥᲐᲦᲐᲥᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

გაზეთ „ტრიბუნის“ თანამშრომლის თავგადასავალი

1. ქალაქის აღმასკომში

მე გახლავართ პროფესიით ჟურნალისტი, გაზ. „ტრიბუნის“ თანამშრომელი, ქრონიკული ქრონიკიორი, ესე იგი ახალ ამბების შემკრები.

გარეგნულად ძალიან მკრთალ შთაბეჭდილებას ვტოვებ. გამხდარი ფიგურა, მიწისფერი პირისახე, თავზე ჟოკეს ქუდი... სწორედ პარიზის აპაშას მიმამგზავსებენ ხოლმე, მაგრამ ნუ შეგეშინდებათ, მე ღარიბი, მაგრამ პატიოსნებით სავსე ვარ ისე როგორც ახალი ამბებით.

დავუბრუნდეთ საგანს.

დილით გავეშურები ქალაქის აღმასკომისკენ; საინფორმაციო განყოფილებაში, რომ შევყობ თავს, ჭვედა განყოფილების გამგე არწივისებური ცხვირიანი ქალი უგემურად შემომხედავს და მომაძახებს.—

„მობძანდა!—აჰა, ისარგებლეთ ამ მასალით!“

და გადმომცემს მთელი რიგი ოქმების. ჩემ სიხარულს საზღვარი არა აქვს.

ვენაცვალე ამდენ მასალას.

მაგრამ რას ხედავენ ჩემი თვალები?

ორმოცდაათ დადგენილებიდან, მხოლოდ ერთის სარგებლობა შეიძლება, ისიც ხოჯივანქის სასაფლაოს შესახებ. დანარჩენი კი პრესაში გამოსაქვეყნებლად სასტიკად აღკრძალულიაო“. მეუბნებიან მივეშურები შინ. საქ. კომისარიატისკენ.

ინციდენტი ავტომობილთან

სასახლესთან მინდოდა გადავსულიყავი მეორე მხარეს, რომ უცებ გაჭანებული ავტომობილი დამეტაკა და ერთი საჟენის სიშორით გადამისროლა.

ავტომობილი თურმე სახაზინო ყოფილა უნომროთ. შიგ ვიღაც შუა ხნის ქალი იჯდა სამარშინიანი პორტფელით ხელში.

მილიციონერს მივვარდი დახმარების სათხოვნათ.

— ხომ ხედავთ კაცი დამამციროს, თავიც გამიტეხეს, კინალამ არ გამწყლიტეს. რატომ არ აკავებ?

შენ გიჟი ხომ არა ხარ, რომ დავაკავო, ხომ შეც დამაკავებენ. განა მან ჩემზე ცუდათ იცის დაკავება.

— შენ რისთვის დგეხარ აქ?

— წესრიგისათვის?

— მაშასადამე შეასრულე შენი მოვალეობა და მე მოვითხოვ ავტომობილის დაკავებას!

ამ ჩვენ კამათში ავტომობილის კვალიც კი დაიკარგა.

აღარ მომცილდები? ნუ არღვევ წესს და გაიარე შენი გზით.

თავჩაღუნული განვაგრძე ჩემი მგზავრობა.

შინაგან საქმეთა კომისარიატში.

კარებში დარაჯი იდგა და არ მიშვებდა. ვერავითარი ვედრებამ ვერ გაჯერა.

„პრიომი“ თორმეტ საათის შემდეგ დაიწყებაო.

— „მე პრიომისთვის კი არ მოვედი, გაზეთისათვის ცნობები უნდა შევკრიბო და თორმეტ საათის შემდეგ ჩემი მოსვლა გვიან იქნება“ მეთქი მოვახსენე.

რაიო? ცნობებიო? ექვეულად შემომხედა და მითხრა: შენ რაღა წითელი კოჭი ხარ, რომ არ იცდიო.

— მე წითელი კოჭი კი არა, გაზეთის თანამშრომელი ვარ და გთხოვთ შემიშვათ!

„მანდატი“!

გავიკარი ხელი უბეზე, მანდატი შინ დამრჩენოდა.

— „უკაცრავად მანდატი შინ დამრჩა“!

— „აჰაა! დაკავეთ, ჯაშუში იქნებაო“, უთხრა კარებთან მდგომ ჯარის კაცს.

წამავლეს ხელი, ალბათ შიშისაგან თუ გაკვირვებისაგან ჩემმა სახემ რაღაც უცნაური გამოხატველობა მიიღო, რომ თვით დარაჯმაც კი ვერ შეიკავა ღიმილი, მომკიდა ხელი და სადღაც შემაგდო.

ბოლოს კანცელარიის გამგეს გაეგო საქმის გარემოება და დიდი ბოდიშებით გამანთავისუფლეს.

„Это недоразумение, вы не должны обижаться. Вас не поняли“... და სხვა.

მეპატიჟებოდენ საინფორმაციო განყოფილებაში. გადმომიშალეს მასალები შინაგან საქმეთა კომისარიატის მოქმედებისა.

ტრაგიკულ მდგომარეობაში მყოფმა, რომ წავიკითხე ზოგიერთი ცნობები, გული კინალამ წამივიდა.

„მაზრებში ამდენ ხნის განმავლობაში ყაჩაღებმა ყელი გამოჭრეს ამდენს, დაახჩვეს ამდენი, გააუპატიურეს, დახოცეს, დახვრიტეს... და ყველგან ამიერიდან მშვიდობიანობაა“!

კიდევ კარგი, რომ ამიერიდანაც მაინც მშვიდობიანობა მყარდება მეთქი, გავიფიქრე.

რა ბედნიერი ხართ ჟურნალისტები, ალბათ ჰონორარს ბევრს ღებულობთ! გამომელაპარაკა მოსამსახურე ქალმა, ამ სიტყვებზე მე ჩამეცინა.

ბედნიერი... ის კი არ იცის, რომ ჩემმა რედაქტორმა სტრიქონებს შორის ხაზი ამოიღო, გაფართოვა და 1000 მან. იძლევა მაშინ, როდესაც კონა ქინძი ასი ათასი მანეთი ღირს.

ერთ ერთი თანამშრომელი ბუზღუნებდა, ჩვენ შვიდ მილიონს ვიღებთ და ჩვენი პასუხის მგებელი მოსამსახურენი კი ორმოც ან ორმოცდაათ მილიონობით ღებულობენ. სად არის სამართალი.

მე თანაგრძნობის ნიშნათ ხელი გაუწოდე, მაგრამ უცებ შევნიშნე დიდი წარწერა კედელზე:

„Культурный человек при приветствии руку не подает“.

ხელი ისევ ძირს დავუშვი.

რედაქციაში, რომ მივედი, რედაქტორი თვალებიდან ცეცხლს ყრიდა.

სად ბრძანდებოდი ამდენ ხანს?

საღამოს შენი ქრონიკისათვის ცალკე ფურცელი უნდა გამუშვა თუ როგორ გგონია?

მე თავჩაღუნული ვიდექი. სიმწარისაგან ყელში რაღაც შომადგა და ხმას ველარ ვიღებდი.

— ახლა გასწი პროფკავშირში, იქიდან ბირჟაზე, ბირჟიდან ყრილობაზე, ყრილობიდან რევტრიბუნალში, რევტრიბუნალიდან ბანკში, ბანკიდან ცეკავშირში, ცეკავშირიდან თეატრში, თეატრიდან მილიციაში და ორ საათამდე ცნობები გაგაჩინეო. დამჩხაოდა რედაქტორი.

მე მწარედ ჩამეჩინა.

— შენ კიდევ იცინი?

ეს შეუძლებელია, ყველგან ვერ მოვასწრებ... მე... მე ორი ფეხი მაქვს.

გამოცდილს ქრონიკიორს თერამეტი ფეხი უნდა ქონდეს, გესმის!

მე კი ორი დაქანცული ფეხით გავეშურე ბირჟისკენ... სადაც ლირები მალაყიას გადადიან. ჩემს ჯიბეში კი 15 ათასი მანეთი იდო. თავი გატეხილი მქონდა, გული კვნესოდა. ახალ ამბებს ვეძებდი..

ქართველელ-იმერელი.

ᲒᲘᲒᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ახალგაზდათა ბიბლიოთეკა. „მალარო „ძია თომა“—ბ. კელერმანის მოთხრობა და ა. მაშაშვილის ესკიზი „ობოლი ვანო“

საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკას ეს გამოცემები პირველ შეხედვისათანავე „ჟურნალ კოპეიკა“-ს გამოცემათა დამატებების შთაბეჭდილებას სტოვებს თავის გარეგნობით რასაკვირველია. არავითარი სიახლე ამ წიგნებს არ ახასიათებს, არც გარეგნული გამოცემით, მაგ. მსგავსათ რუსეთის ახალგ. კომკავშირების თანამედროვე გამოცემებისა და მით უმეტეს, რაც უფრო გულ სატკენია, არც შინაგან სტილისტიკის მხრითაც. მაგ. კელერმანის „მალარო“ -„ძია თომი“-ს შესავალი წაკითხვისთანავე, წიგნაკი აღარ მოითხოვს არავითარ ექსპლიკაციას. შესავალი თითქოს „გამომცემლობისაგან-“აა ხოლო სინამდვილით კი მოთხრობის ერთგვარ ექსპოზიციას წარმოადგენს, ნაცვლად გამომცემლობისაგან წარსამძღვარებელ სიტყვისა ამ გამოცემის დასახულ მიზნის მიღწევათა გარკვევის შესახებ, რომელიც უსათუოდ პირველ ინტერესს აღძრავდა წამკითხველში; ან—და ამ მოთხრობის თითქმის ლოგიკურ რეზიუმეს, მოვათავსებდი მოთხრობას და ბოლოს, რომელიც მაშინ ასეთ კუდ-შეკვეცილ ამბავის შთაბეჭდილებას არ დასტოვებდა.

მე ვერაფერს ვიტყვი თვით ბ. კელერმანის მოთხრობის შესახებ, ვინაიდან, ამ „ნაჩიქორთულებ“ თარგმანშიაც-კი გამოსჭვივის ძარღვიანი მუშური კალმით მოსმული სტრიქონების რეკა „ნახშირის ყვირილითა“ და „შავი ოქროს ხმაურობით“. მოთხრობაში გარდა იმ აურაცხელი გრამატიკული შეცდომებისა და ყოველ ხუთ სტრიქონზე თითო-ორი ლა კორექტურული უსწორ-მასწორობისა, სჩანს ქართული ენის იდიომატოლოგიის სრული არ ცოდნა, რაიც ასეთი ლამაზათ აგებულ მოთხრობას შეუწყნარებელ დეფორმაციაში აქცევს.

ჩვენი მუშურ-გლეხური [illegible] მელსაც ეხლახან ეძლევა [illegible] თარების მიღებისა და [illegible] ნამედროვე პროლეტარ[illegible] ბელ ლიტერატურას, [illegible] თი ლიტერატურული ენით დაუმუშავებელი [illegible] დაც ნათარგმანები მასალა.

საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის [illegible] გამოცემა № 2, „ობოლი ვანო“, ა. გაბაშვილის [illegible] კიზი, შედარებით საყურადღებოა, როგორც [illegible] ქართული ორიგინალდ, ხოლო ორიგინალურ[illegible] ახალი ამ მოთხრობაში სრულიად არ არის [illegible] მული, ალბათ ამ მოთხრობის დამწერს გაბაშ[illegible] რომლის მოხდენილ ლექსებსაც-კი ეხვდებით [illegible] და სხვა ჟურნალ-გაზეთებში, ეგნატე ნინოშ[illegible] მოთხრობები მაინც არ წაუკითხავს, თორემ [illegible] ნაძალადევად შექმნილ ტიპებს და შეუსაბამო [illegible] გედიებს არ შესთხზავდა, როგორიც არის მა[illegible] ნოს დედა, რომელიც სარეცხის ტაშტს გადა[illegible] მდინარეში და იღრჩვება. ან-და მამა მისი, [illegible] სანდრე უქონაძე, რომელიც ბებუთით სტრა[illegible] მოჰკლავს კანცელარიაში, სადაც, ამასთანავე, [illegible] ორე დღესვე გაიკვრება მისი ცომბირში გადა[illegible] ვის ბრძანება. საზოგადოთ მთელი წიგნი [illegible] უცნაური პარადოქსებით არის შეკოწიწებული.

წიგნაკები დაბეჭდილია უბრალო ქაღალ[illegible] და აწყობილია საგაზეთო შრიფტით. ყდა[illegible] მოთხრობების შინაარს თან ახლავს მხატვარ [illegible] კოვის სურათები.

ვფიქრობთ, მომავალში ახალგაზრდათა [illegible] კავშირის ცეკა უფრო ბევრათ გაუმჯობესებ[illegible] მოცემებს მიაწვდის მუშურ-გლეხურ ახალგაზ[illegible] ბას.

ს. ნ.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ჰოფმანის ზღაპრები

(ოფენბახის მუსიკალური ალეგორია).

ჰოეტ-რომანტიკოსის ჰოფმანის ცხოვრება დამსხვრეულია, რაღაც ფატალურათ შექმნილ პირობების გამო. მისი გულის სამთავე სასიყვარულო თხრობა, გამოდგება არა უმეტეს ზღაპრისათვის სამწუხარო დაბოლავებით. სამჯერ თავის სიცოცხლეში ყმაწვილი ჰოფმანი, გადაეყრება ქალწულებს, რომელთაც მთელი თავისი ახალგაზრდული ენების სიძლიერით შეიყვარებს, მაგრამ სამჯერ თავის სიცოცხლეში მარცხდება სასტიკად ფატუმას ბედის გავლენის წყალობით, რომელიც მოვლინებულია ბოროტი გენიის სახით მისი ცხოვრებისა, მექანიკის კაპელიუსისა, მაწანწალა—დეპერტუტას და ექიმ მირულისი.

ბედის-წერის ფარული მატრიალებელი ოლიმპია, ჯულიეტა და ანტონია არის საგანი,—ჰოფმანის ყმაწვილურ გრძნობათა გატაცებისა. კოპელიუსის, დეპერტუტის და მირიველის როლს ასრულებდა ერთი მსახიობი ბ. საბინინი და უნდა ითქვას სრულიად მიუდგომლათ, რომ სამთავე როლი მსახიობმა სავსებით დასრულებულათ ჩაატარა. კარგათ იმღერის ქ-ნი ცაგარელი აეტომატ-დედოფალას პარტიის (ალეგორია) ნაკლებია კურტიზანკა-ჯულიეტას პარტია ქ-ნ მიზოვეკაიას შესრულებაში, ეს პარტია მეტს დამუშავებას მოითხოვს როგორც სცენიურ ისე ვოკალურის მხრით. კარგი ანტონიაა ქ-ნი ბოკოვა. სავსებით მისაღებია ხორო და ორკესტრი.

პ. ბებუთოვი.

ქართული კინო. მომავალში განათლების კომისარიატთან არსებული კინო-სექცია გადაღებს სურათებს განსაკუთრებრივ საგიტაციო ხასიათისას.

საბავშო თეატრი. კვირას 28 აპრილს [illegible] ქართულ კლუბის თეატრში სოციალურ [illegible] განყოფილებასთან არსებული საბავშო თ[illegible] დრამსექცია ალ. გველესიანის ხელმძღვანელ[illegible] გამართავს ბავშვებისათვის მორიგ ქართულ [illegible] დგენას. დასაწყისი სრულ 12 საათზე.

ბენეფისი ნინო დავითაშვილისა. ხუთშ[illegible] მაისის 3-ს რუსთაველის თეატრში ბენეფისია [illegible] დავითაშვილისა. წარმოდგენილი იქნება [illegible] ცნობილი პიესა „მადამ სან-ჟენ“. „სან-ჟ[illegible] როლს შეასრულებს ნინო დავითაშვილი, ნაპ[illegible] ნისას—გიორგი დავითაშვილი.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

1914 წლიდან ვირიცხებოდი საქ. სოციალ[illegible] ფედერალისტთა პარტიაში. საბჭოთა წყობი[illegible] დამყარების შემდეგ პარტიაში მომხდარი განხ[illegible] ლების გამო, არც ერთ ბანაკში აქტიურად არ [illegible] მიღია მონაწილეობა ოჯახური მიზეზების [illegible] თუმცა თავიდანვე მქონდა სურვილი მემარ[illegible] ს.-ფედერალისტთა პარტიაში მუშაობისა. [illegible] დარწმუნებული მასში, რომ საქ. მემარცხენე [illegible] ციალისტ-ფედერალისტთა პარტია მტკიცეთ [illegible] ერისა და სოციალიზმის სადარაჯოზედ, იგი [illegible] დამცველი სოციალ-ფედერალიზმის პრინცი[illegible] რისთვისაც მსურს ხსენებულ პარტიის წევრი [illegible] ვიქნე და საკუთარი ძალის მიხედვით ვემსა[illegible] პარტიასა და მშრომელ ხალხს.

შალვა ჭილაძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲐᲛᲘᲗ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ

დაინტერესებულ პირთა საყურადღებოთ,

რომ 1923 წ. 29 აპრილს დილის 10 საათზე აღმასკომის დარბაზში (№ 12)

ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲐ

აღმასკომისათვის 3000 კუბ. საჟ. მაგარი ხარისხის შეშის დამზადებაზე ფრანკო-აღმასკომის საწყობებში. შეშის ჩაბარება შეიძლება ნაწილობრივათაც.

განცხადების მიღება დაწვრილებითი პირობებით შეიძლება ა-წ. 29 აპრილამდე დაბეჭდილ პაკეტებში აღმასკომის კომენდანტის ოთახში № 22.

ყოველივე ცნობებს ამის შესახებ აძლევს აღმასკომის კომენდატურა.

პრეზიდიუმი.

№ 323—5—4

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ორშაბათს. ა. წ. 30 აპრილს

დილის 12 საათზე აღმასრულებელ კომიტეტის შენობაში

ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

ქალაქის ხუთი სასწორის

(თათრის მოედ., დესპომონოვის მოედ., მალაკნის მოედ., ნუნუფაროვის და მუხრანის რინოკზე)

ოჯარით ვასაცემად ცალკე პირზედ ან იურიდიულ უფლებით აღჭურვილ ამხანაგობაზედ.

ვაჭრობა დაიწყება 15,000 მანეთიდან ოქროთი ხუთივე სასწორზე წელიწადში, დაწვრილებ[illegible] კონცესიის გაცნობა შეიძლება ყოველ დღე აღმასკომში ოთახი № 50. 325 4—2

ნის დასაბამი იმარხება ჩვენი შორეული წარსულის სიღრმეში; იგი არის ისტორიული განვითარების პროცესში თანდათანობით გამომუშავებული ჩვეულება.

იგი არის ჩვენი გაუნათლებლობისა გამო დღემდე შენარჩუნებული ველური ადათი სისხლის აღების წესით მტერზე შურის ძიებისა.

ამავე გაუნათლებლობის მიზეზით აქაური ხალხი ვერ არის მომზადებული, ადგილობრივი გეოგრაფიულ-ბუნებრივი პირობების შესაფერი კულტურული წესით და საშვალებით ბრძოლისათვის.

იგი ჯერ კიდევ არ გატარებულა ცივილიზაციის მძლავრ დარჯაკში, რომ რადიკალური გადატეხა მომხდარიყო ძის ხასიათში. და ის ძველი თავად-აზნაურული ლტოლვანი,—„თავზედ ფაფახი, ხელში მათრახი“, ოჩეული ცხენ-უნაგირი. „მამა-პაპური“ ქეიფი და უზრუნველ-უშრომელად ფუფუნებაში ცხოვრების გატარების ძიება, და შეუდრეკელ სიზარმაცესთან თავხედური სიამაყეც დღემდე შერჩენილა,

შეიძლება ამ ჩვენს ასე განებივრება, თუ გაფუქსავატებაში აქაური ბუნების სიუხვესაც ედოს წილი. მაგრამ ეს-კი ცხადია, რომ ჯერ კიდევ ბევრია ჩვენში ისეთები, რომელთაც ფართოდ ცხოვრების პრეტენზიები მოსვენებას არ აძლევს, მაგრამ მუშაობა და ხელის გაძვრა-კი ეთაკილებათ.

ისინი ცდილობენ გამოძებნონ ისეთი რამ საშვალება, რომლითაც იოლად გაიტანონ თავი. ბედის ცდაში წაეტანებიან ამა, თუ იმ საქმეს, ან სამსახურს, ან ხელობას, მაგრამ ერთხელ-ავე გაფუქსავატებულთ, არ ყოფნისთ ხასიათის სიმტკიცე, რომ თავიანთ თავი ხელში დაიჭირონ და ხანგრძლივ მიჯაჭვონ ყურადღება ერთ და იმავე საგანზე; მალე

სტოვებენ ერთს და გადაინაცვლებენ მეორე საქმეზე, მეორედან მესამეზე, მაგრამ ბოლოს, როცა იმედი ყოველგან უწბილდებათ, ისინი ირჩევენ ვითომდა ყველაზე უფრო იოლს, მაგრამ ყველაზე უფრო საბედისწერო პროფესიას-ავაზაკობას.

ამას ხელს უწყობს აგვრედე ადგილ მდებარეობა და პრიმიტიული სახე ჩვენი მოსახლეობისა. ჩვენი ძველებური ქოხ-მახები უწესრიგოდ და შორიშორს არის გაბნეული. ვარშემო არტყია გაუვალი ტყეები და ხევ-ხუვები, რომელნიც შეადგენენ საუკეთესო თავშესაფარ ბინას ავაზაკებისთვის. ამავე დროს დაბა სოფლები მოკლებულია სათანადოთ გამართულ გზათა ქსელს და მოწყვეტილი ერთმანეთს.

აი, სწორედ ეს პირობები უწყობს ხელს ავაზაკებს, ხოლო მთავრობას და ხალხს-კი უშლის ხელს მათთან ბრძოლაში, რის გამო ზოგჯერ ეს ავაზაკები გაცილებით მეტ ზიანს აყენებენ მათ მდევრებს, ვიდრე ესენი ავაზაკებს.

აქედან ცხადია, რომ ეს ავაზაკობა აღმოიფხვრას ჩვენში, საჭიროა თავდაპირველად ფართოდ მოფენა განათლებისა; დევნა უსაქმურთა და სავალდებულო საქმის მიჩენა მუქთახორა ზარმაცებისთვის; ჩვენი უთავბოლო მოსახლეობის **თანდათანობით** სისტემაში მოყვანა და წინასწარ შემუშავებულ გეგმებით წესრიგზე დალაგება: ველური ტყეების გაწმენდა და გაკულტურებინება და მთელი მაზრის დაქსელვა ხშირი, ფართო და სწორი გზატკეცილებით და ხიდეების აგება დიდ, თუ პატარა მდინარეებზე.

ამ უკანასკნელ დარგში ადგილობრივმა მთავრობამ უკვე დაიწყო მუშაობა და თვალსაჩინო ნაბიჯებიც გადადგა, რაის შესახებ მოგახსენებთ შემდეგ.

ოდიშელი.

ტირაჟი 1 900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 227 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2